

საქართველოს სასწავლო ცენტრი ჯი-ელ-სი

საპრეზენტაციო უნარების განვითარება მე-7კლასში

ინგა ხუციშვილი-ასათიანი

(პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა)

თბილისი

2018-2019

აბსტრაქტი

ამ კვლევაში გაეცნობით ჩემ მიერ ჩატარებული პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიშს, რომელშიც აღწერილია, თუ რა პრობლემის წინაშე ვიდექი გაკვეთელზე განხორციელებული პრეზენტაციების დროს მე-7 კლასებში. მასში გაეცნობით სწავლების რომელი სტრატეგიებით, აქტივობებითა და მეთოდებით შეიძლება გავუადვილოთ მოსწავლეებს საპრეზენტაციო უნარები. როგორ გავზარდოთ მოსწავლეთა ინტერესი, სწავლის მოტივაცია და როგორ გავზადოთ სწავლა - სწავლების პროცესი უფრო საინტერესო, ეფექტური და მაღალ შედეგზე ორიენტირებული. ჩატარებული ინტერვენციები კონსტრუქტივისტული სწავლების მეთოდებზეა დაფუძნებული და ორიენტირებულია მოსწავლეზე.

კვლევა ეფუძნება სხვადასხვა ფსიქოლოგისა და პედაგოგის შეხედულებებსა და გამოცდილებებს, განვითარებისა და სწავლების თანამედროვე თეორიებს.

პედაგოგიური კვლევის ანგარიში განთავსებულია ბლოგზე: <https://ingakhutsi.blogspot.com/>

სარჩევი

აბსტრაქტი.....	4
შესავალი	3
თავი I საკვლევი საკითხის მიმოხილვა.....	8
თავი II ლიტერატურის მიმოხილვა	16
თავი III კვლევის აღწერა.....	20
3.1. კვლევის ეტაპები	20
3.2. ინფორმაცია სამიზნე სკოლის შესახებ.....	23
3.3. მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი	23
3.4. მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი.....	28
თავი IV ინტერვენციები	33
4.1. ინტერვენცია 1	33

4.2. ინტერვენციების შედეგების შეფასება	38
დასკვნა.....	39
რეკომენდაციები	40
გამოყენებული ლიტერატურა.....	41
დანართი 3.....	44
დანართი 4.....	44
დანართი 5.....	45
რეფლექსია ჩატარებული პედაგოგიური კვლევის შესახებ „საპრეზენტაციო უნარების განვითარება მე-7 კლასში“.....	53

შესავალი

მასწავლებლობა ჩემთვის ყველაზე საინტერესო, მრავალფეროვანი და ძიებით სავსე პროფესიაა. მოსწავლეებთან მუშაობა კი მუდმივად ფორმაში ყოფნას ნიშნავს, რაც ყოველდღიურად მამლევს სტიმულს, რომ განვითარდე, თანამედროვე ცოდნით აღვიჭურვო, ვეძიო თვითგანვითარების სხვადასხვა გზები. ჩვენ, მასწავლებლებს, რთული მისია გვაკისრია... ის მუდმივ განათლებას მოითხოვს. მუდამ ძიებაში ხარ, გასურს, ახალი გაიგო, ახალი აითვისო და მოსწავლეებს მაშინვე გაუზიარო, მათი თვალები შეგაფასებენ, ისინი არ იტყუებიან.

ვცდილობ, ჩემი გაკვეთილები არ იყოს ერთფეროვანი და მოსაწყენი. არ მეშინია სიახლეების. ვინაიდან მომავალი თაობის აღზრდა მავალია, არ მაქვს უფლება, ვიყო ყალბი, მინდა, რომ ჩემი მოსწავლეების საფიქრალს ჩავწვდე: ვესაუბრები მათ, ვარკვევ, რა მოსწონთ და რა - არა. ვისმენ მათ კითხვებს, ვპასუხობ. ზოგჯერ კარგად გამომდის, ზოგჯერ - არა.

საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვისას მნიშვნელოვანად მიმაჩნია, გავიაზრო, თუ რა ფაზებს გადის მოსწავლის ცნობიერება შემეცნების პროცესში. მნიშვნელოვანია, ვიცოდე, რა ინსტრუმენტები უნდა გამოვიყენო

იმისათვის, რომ სწავლის პროცესი იყოს საინტერესო, სახალისო და ეფექტური. როგორც ჩემი და ჩემი კოლეგების სამუშაო შეხვედრებიდან და საუბრებიდან ჩანს, გაკვეთილებზე ერთი და იმავე პრობლემებს ვხვდებით, რომელთაგან ერთ-ერთი მოსწავლეებში სამეტყველო უნარ-ჩვევების დახვეწაა.

ჩემი სკოლაში მუშაობის პერიოდში ხშირად მიწევს მოსწავლეებთან ერთად სხვადასხვა სახის პრეზენტაციების კეთება. უმრავლესობა ხალისით ერთვება ამ ტიპის დავალებებში; სიამოვნებით მოიძიებენ საჭირო მასალას, ახარისხებენ მას, თუმცა ზეპირი პრეზენტაცია გარკვეული ნაწილისთვის სიმძნელეს წარმოადგენს. მათ უჭირთ აზრის ჩამოყალიბება, მსჯელობა, გამართული მეტყველება. ურჩევნიათ მსმენლის როლში დარჩნენ, ან ერთი-ორი ფრაზით შემოიფარგლონ. ვფიქრობ, ეს გამოწვეულია სხვადასხვა ფაქტორებით: აკლიათ თავდაჯერება, სითამამე, არ არიან შეჩვეული აუდიტორიასთან კონტაქტს, არ ფლობენ სათანადო ლექსიკას, არ აქვთ საპრეზენტაციო უნარები და სხვ.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ჩამოვაყალიბეთ **საკვლევი თეზისი**, რომ მოსწავლეთა ნაწილს უჭირს გაკვეთილზე ცოდნის დემონსტრირება, რაც ვფიქრობთ, ყოველთვის გაკვეთილის არცოდნით არ აიხსნება. ამ პრობლემის მიზეზი შეძლება იყოს ლექსიკის სიმცირე, მსჯელობისა და დისკუსიის სტრატეგიების არცოდნა, აზრის ნათლად გამოთქმის/ჩამოყალიბების უნარი და ა.შ.

საკვლევი კითხვა: როგორ გავაუმჯობესოთ საქართველოს სასწავლო ცენტრ „ჯი-ელ-სის“ მე-7 კლასელთა საპრეზენტაციო უნარები? რა არის გაკვეთილზე მიმდინარე აქტივობებში მათი პასიურობის გამომწვევი მიზეზი? როგორ შევძლო ამ პრობლემების მოგვარება?

საკვლევი თეზისიდან გამომდინარე, **კვლევის მიზნად** დავისახეთ იმ პრობლემის აღმოსაფხვრელი გზების მიგნება, რომლებიც გამოიკვეთა მეშვიდე კლასში. კერძოდ, მოსწავლეთა ზეპირი მეტყველების კულტურის დონის ამაღლება (კონკრეტულად კი აზრის ნათლად, მკაფიოდ ჩამოყალიბება, კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარება, უდიტორიასთან კონტაქტის გაუმჯობესება და გამართული მეტყველებისა და წერითი აზროვნების დახვეწა), რაც თავის მხრივ

გამოიწვევს მათი აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას (კრიტერიუმით დადგენილი განმსაზღვრელი შეფასების გაუმჯობესებას), განუმტკიცდებათ და აუმაღლებათ თვითშეფასებაც, მით უფრო, რომ სწორმეტყველების კულტურა სჭირდებათ არა მხოლოდ სკოლაში, არამედ ზრდასრულ ასაკშიც, უმაღლეს სკოლებსა თუ სამსახურებრივი ვალდებულების შესრულებისას. მოსწავლეს უნდა ჰქონდეს ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი, მრავალფეროვან საკომუნიკაციო სიტუაციებში აკვირდებოდეს და ადგენდეს მათ სიტუაციის მოთხოვნებს. კომპეტენცია მოიცავს როგორც განსხვავებული ტექსტების კითხვისა და გაგების უნარს, ისე ინფორმაციის მოძიების, შეგროვებისა და გადამუშავების უნარს, რათა შემდგომ გამოიყენოს ის დანიშნულებისამებრ და კონტექსტის შესაბამისად, დამაჯერებლად შეძლოს არგუმენტების ფორმულირება და გამოხატვა.

კვლევის აქტუალობა გამომდინარეობს მისივე საჭიროებიდან, ვინაიდან პრეზენტაციის უნარების ჩამოყალიბება მნიშვნელოვნად მოქმედებს მოსწავლის განვითარებაზე, უქმნის მას სათანადო განწყობას სწავლის, ახლის შეცნობისა თუ საკუთარი თავის აღმოჩენის მიმართ.

კვლევის აქტუალობას ემატება საერთო ინტერესი პრობლემისადმი. ამ საკითხზე არაერთი შეხვედრა მოვაწყეთ კათედრაზე. გავცვალეთ აზრები, გავუზიარეთ გამოცდილება, დავგეგმეთ და განვახორციელეთ სხვადასხვა აქტივობები, თუმცა, პრობლემის მოსაგვარებლად საკმარისი არ აღმოჩნდა: მოსწავლეთა ნაწილს კვლავ უჭირს სწორმეტყველება, აუდიტორიასთან კონტაქტი, საკომუნიკაციო, საპრეზენტაციო უნარების გამოვლენა თუ დახვეწა.

დიმიტრი უზნაძე გვასწავლის: “სწავლაში ძირითადი მნიშვნელობა იმ პროდუქტს კი არ აქვს, რომელსაც კონკრეტული ჩვევის ან კონკრეტული შინაარსის მქონე ცოდნის სახით გვაძლევენ, არამედ - განსაზღვრული მიმართულებით მოსწავლის ძალების განვითარებას“. 21-ე საუკუნის მოსწავლისათვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ცოდნის დაგროვება, არამედ იმ უნარ-ჩვევების დაუფლება და განვითარება, რომლებიც მას მთელი ცხოვრების განმავლობაში კონკურენტუნარიანსა

და წარმატებულს გახდის. ზემოაღნიშნულის მიღწევაში მოსწავლეებს დაეხმარება საპრეზენტაციო და კომუნიკაციის უნარების განვითარება.

ვიმედოვნებთ, კვლევა აჩვენებს:

- რამდენად არის შესაძლებელი მოსწავლეთა საპრეზენტაციო (მეტყველების, წერითი აზროვნების) უნარების განვითარება და უკეთესი შედეგის მიღწევა საგაკვეთილო პროცესში პროექტების კეთებისა და ზეპირი თუ წერილობითი პრეზენტაციების შედეგად.

- გამოავლენს, რა კონკრეტული ფაქტორები უწყობს ხელს მოსწავლეს მეტყველების დახვეწაში, ლექსიკის გამდიდრებაში, კრიტიკული აზროვნებისა და კვლევა-ძიების უნარის განვითარებაში, სასწავლო პროცესის მიმართ პოზიტიური განწყობის შექმნასა და მოტივაციის ამაღლებაში.

დაგვეხმარება საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა საპრეზენტაციო უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაში, წერითი/ზეპირი მეტყველების დახვეწასა და სწავლა-სწავლების ეფექტიანობის გაზრდაში.

გამომდინარე იქიდან, რომ კვლევა ხორციელდება კონკრეტული კლასის მაგალითზე დაყრდნობით, კვლევისას გამოვიყენეთ მიზნობრივი შერჩევის მეთოდი:

კვლევაში მონაწილეობა მიიღო მე-7¹ -და მე-7² კლასის 25-მა მოსწავლემ. ასევე იმ მასწავლებლებმა, რომლებიც ამ კლასის მოსწავლეებს ასწავლიან ამჟამად, ან ასწავლიდნენ წინა წლებში. (სკოლის მასწავლებელთა 30%)

მნიშვნელოვანია ის, რომ ჩემი კვლევის ამოცანები, ინტერვენციები და რეკომენდაციები შესაძლებელია გამოადგეს სხვადასხვა საგნის მასწავლებელს, რადგან მოსწავლის გამართული მეტყველება, ინფორმაციის დამუშავება, თანმიმდევრული, არგუმენტირებული მსჯელობის უნარი მხოლოდ ჩემს საგანში,

ქართულ ენასა და ლიტერატურაში არ სჭირდებათ მოსწავლეებს, ის მნიშვნელოვანია ისტორიის, გეოგრაფიის, და სხვა გაკვეთილებზეც.

საკვანძო სიტყვები: კრიტიკული აზროვნება; ეფექტური პრეზენტაცია; მეტყველების დახვეწა; ჯგუფური მუშაობის ფორმები, ეფექტური სწავლების სტრატეგიები; სააზროვნო უნარები; მოტივაცია

ამჟამად ვმუშაობ საქართველოს სასწავლო ცენტრ „ჯი-ელ-სი-ში“. კვლევა განვახორციელე მე, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა, ინგა ხუციშვილი-ასათიანმა. კვლევის მიმდინარეობისას მეხმარებოდა არაერთი ადამიანი, სკოლის დირექციამ და კოლეგებმა გამომიცხადეს მხარდაჭერა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით მათ.

თავი I

საკვლევი საკითხის მიმოხილვა

სასკოლო განათლება, ანტიკური საბერძნეთიდან მოყოლებული, მუდმივად განხილვის საგანი იყო. იმდროინდელი საწავლულებიც კი, როგორებიც იყვნენ არისტოტელე და პლატონი, სწავლების სხვადასხვა მეთოდს ირჩევდნენ. მაგალითად, თუ პლატონი თავის მოწაფეებს კოცონთან დასვამდა და ლექციებს იქ უკითხავდა, არისტოტელე ფეხით სეირნობას არჩევდა და სწავლების პერიოდში მოწაფეებთან ერთად კილომეტრებს გადიოდა. სწორედ ამის გამო არისტოტელეს პერიპატეტიკი, ანუ ფეხით მოსიარულე შეარქვეს. მას შემდეგ უამრავი საუკუნე გავიდა და ახალმა ეპოქამ ახალი ამოცანების წინაშე დააყენა სკოლაც, მასწავლებელიცა და მოსწავლეს; ახლა მოსწავლე უფრო აქტიური, შემოქმედებითი და თავისუფალია თავის არჩევანში. სადღეისოდ გაკვეთილს აღარ განიხილავენ მხოლოდ განათლების გადაცემის ფორმად; იგი განიხილება როგორც მოსწავლეთა განვითარების წყარო, მათი შემეცნებითი ძალებისა და უნარების უკეთ გამომზეურების საშუალება. გაკვეთილი - ეს რთული საგანმანათლებლო სისტემაა, რომელიც მიმართულია მოსწავლეთა ცოდნის, უნარისა და ღირებულებების ფორმირებისკენ, გონებრივი განვითარებისკენ, პიროვნული ჩამოყალიბებისკენ.

როდესაც ჩნდება პრობლემა და ვეძებთ გზებს მის აღმოსაფხვრელად, ვისახავთ მიზანს და მოვიაზრებთ საკვლევ ამოცანებს, პირველ რიგში საჭიროა, საკითხს ღრმად ჩავწვდეთ. ამიტომ მოვიძიეთ საკვლევი საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურა: საგანმანათლებლო სტატიები, მეთოდური ლიტერატურა, საერთაშორისო კვლევები, რომელსაც კვლევის ამ ნაწილში მიმოვიხილავთ:

დ. უზნაძე აღნიშნავდა, რომ ბავშვის განვითარება მხოლოდ აქტივობის პროცესშია შესაძლებელი, სწავლის პროცესის ეფექტიანობისათვის, პირველ რიგში ბავშვი ამ პროცესის მიმართ უნდა ყოფილიყო დადებითად განწყობილი. უზნაძის აზრით: „სოციალური და მოქალაქეობრივი აღზრდა იმდენად ცოდნას არ ეყრდნობა, რამდენადაც მოქმედებასა და მის ტენდენციებს.....მოზარდის ცნობიერებაში საბოლოოდ უნდა ჩამოყალიბდეს შეგნება, რომ იგი საზოგადოებრივი ერთეულის წევრია და მთელი მისი მოღვაწეობა ამ ერთეულის ინტერესით მოძრაობს“. (დ.უზნაძე „პედაგოგიური თხზულებანი“ გვ.418) მოსწავლეებში კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარების განვითარების აუცილებლობაზე საუბრობს ვიგოდსკი. მისი თეორიის მთავარი პრინციპი, მდგომარეობს იმაში, რომ მოსწავლეები აძლევს მიმართულებას და მოსწავლეები თავად აგებენ ცოდნას. როდესაც მოსწავლეები ერთად მუშაობენ, „ზოგიერთი მოსწავლე იყენებს ეგოცენტრულ მეტყველებას, რაც საშუალებას აძლევს სხვა მოსწავლეებს გაიგონ და ისწავლონ თუ რა აზროვნების პროცესებს იყენებენ მათი თანატოლები სწორი პასუხის მისაღებად. ერთობლივი მუშაობა ხელს უწყობს კოგნიტურ და სოციალურ განვითარებას, მოტივაციის ამაღლებას“ („განვითარებისა და სწავლი თეორიები“ გვ.110). ვიგოდსკის აზრით, როცა ბავშვები ერთად მუშაობენ, თითოეულ მათგანს შესაძლებლობა ეძლევა დააკვირდეს თანატოლს, რომელიც კოგნიტური განვითარების ოდნავ მაღალ დონეზე იმყოფება და შესაბამისად დავალებასაც უფრო დახვეწილი კოგნიტური პროცესების გამოყენებით ასრულებს. ვიგოდსკის და უზნაძის შეხედულებები ემთხვევა, როდესაც საუბარია მოსწავლეთა თანამშრომლობაზე, აქტიურ ქმედებებზე. ორივე აღიარებს ამ უნარების განვითარების აუცილებლობას. ლიტერატურის გაცნობამ დიდი დახმარება გამიწია უფრო ღრმად და ახლებურად შემეხედა აღნიშნული პრობლემისათვის.

პრაქტიკამ აჩვენა, რომ მოსწავლეებს ისეთი გაკვეთილები მოსწონთ, როდესაც საგაკვეთილო პროცესში მასწავლებელი იყენებს ინტერნეტრესურსებს, აუდიო და ვიდეო საშუალებებს, მრავალფეროვან აქტივობებს, მოსწავლის მრავალმხრივი ინტელექტის განვითარებისათვის საჭირო მეთოდებს, და ბოლოს, სწავლება ორიენტირებულია მოსწავლეზე - მოსწავლეა სწავლების მთავარი ობიექტი.

ასეთ გარემოში ისინი უფრო აქტიურები არიან, ადვილად ითვისებენ ახალ სიტყვებს, ენობრივ თავისებურებებს და თავდაჯერებულობაც მატულობს. ასეთ დროს გარეგანი მოტივაცია შინაგანად გარდაიქმნება, რაც სკოლისა და სწავლების მთავარ მიზანს წარმოადგენს. შინაგანად მოტივირებული მოსწავლე კი მომავალში ნებისმიერ სფეროში შეძლებს თვითრეალიზაციას, საკუთარი უნარებისა და შესაძლებლობების სრულად გამოვლენას.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, პედაგოგმა ყველა მოსწავლეს უნდა მისცეს საშუალება გამოავლინოს და განავითაროს სხვადასხვა სააზროვნო უნარები. მოსწავლემ აიმაღლოს მოტივაცია, აქტიურდ ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში და დახვეწოს საპრეზენტაციო უნარები, ნათლად და მკაფიოდ ჩამოაყალიბოს სათქმელი, თამამად გამოთქვას აზრი, ჩაერთოს საკლასო დისკუსიებსა თუ დებატებში. სწორედ ამიტომ, ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებით აღჭურვილი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. განუვითაროს მოზარდს გონებრივი, ფიზიკური, თანამშრომლობითი უნარ-ჩვევები, მისცეს საჭირო ცოდნა, ჩამოუყალიბოს მოსწავლეებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერება. ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანიც, სწორედ ისაა, რომ: „მოსწავლემ შეძლოს დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღება, საზოგადოების მომავალ წევრებს განუვითაროს ზოგადი საკომუნიკაციო და ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევები“

პიროვნების საერთო კულტურა, საკომუნიკაციო და პროფესიული უნარ-ჩვევები სწორედ მშობლიური ენის საფუძველზე ყალიბდება. ის ქმნის იმ ძირითად ბაზისს, რომელსაც ეფუძნება ადამიანის თავისუფალი განვითარების მთელი შემდგომი პროცესი. ზუსტად ამის გათვალისწინებით განისაზღვრება ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ძირითადი მიზნები: „განუვითაროს მოზარდს ძირითადი სამეტყველო უნარები(წერა, კითხვა, მოსმენა,საუბარი); გამოუმუშაოს წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურა; განუვითაროს საკუთარი აზრის ლოგიკური თანმიმდევრობით გამოთქმისა და სხვადასხვა დანიშნულების

წერილობითი ტექსტის შექმნის უნარი; ჩამოუყალიბოს დამოუკიდებელი, შემოქმედებითი და რეფლექსური აზროვნების უნარი; (ესგ).

დავით პერკინსის აზრით, განათლების მთავარი მიზანი უნდა იყოს მიღებული ცოდნის შენარჩუნება, მისი კარგად გაგება-გააზრება და ცოდნის აქტიური გამოყენება. განათლების მეცნიერებაში მიღებულია აზრი, რომ მოსწავლეები ჯერ იძენენ ცოდნას და შემდეგ იწყებენ ფიქრს, ხოლო პერკინსის აზრით, მოსწავლეები მაშინ იძენენ ცოდნას, როცა სწავლის პროცესში ხდება მისი გააზრება. მაშასადამე, „აზროვნება კი არ მოსდევს ცოდნას, არამედ ცოდნა მოსდევს აზროვნებას“ ამიტომ უნდა ვეცადოთ, მოსწავლეებს მივცეთ საშუალება ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ შეძლონ საკუთარი ძალების რწმენა, გაკვეთილზე შევუქმნათ სათანადო გარემო, დავგეგმოთ ისეთი აქტივობები, როგორიც ეფექტური იქნება მოსწავლის მოტივაციისა და თვითშეფასების ამაღლებისათვის. საჭიროებიდან გამომდინარე, შევცვალოთ სწავლების სტრატეგიები, განვახორციელოთ თითოეული მოსწავლის უნარებზე მორგებული აქტივობები, დავგეგმოთ წარმატებულ მოსწავლეთა გამოცდილების გაზიარება; ასევე, საგაკვეთილო პროცესი მოსწავლეთათვის მასტიმულირებელი, სახალისო ელემენტებით დავტვირთოთ, რაც სასურველ შედეგებზე გაგვიყვანს. კერძოდ, მოსწავლეს აუმაღლდება მოტივაცია, გაუჩნდება აზრის დაფიქსირებისა და მსჯელობის სურვილი, საპრეზენტაციო უნარებს განავითარებს - მაგ. დებატები, პრეზენტაციები, პროექტ-გაკვეთილები, დისკუსიები; ყოველი ჩვენთაგანი ცდილობს, საგნობრივი სტანდარტის მიხედვით შეადგინოს გეგმა, რომელშიც გარკვევით წერია, რომ მოსწავლე უნდა გადიოდეს მაღალ სააზროვნო უნარებზე, ფლობდეს კომუნიკაციისა და საპრეზენტაციო უნარებს: მსჯელობის უნარის განვითარება; სააზროვნო მოქმედებათა (ანალიზი, შედარება, განზოგადება) განვითარება ენობრივ (ტექსტობრივ) საფუძველზე; ტექსტებთან შემოქმედებითი (თავისუფალი) დამოკიდებულების გამომუშავება; დისკუსიებში მონაწილეობა, მონოლოგური და დიალოგური მეტყველების უნარ-ჩვევათა ჩამოყალიბება; ტექსტის ანალიზის უნარის განვითარება;

პერკინსის თეორიის მიხედვით, მასწავლებლის მთავარი ამოცანაა მოსწავლეთა აზროვნებისა და მსჯელობის უნარის განვითარება, რაც გულისხმობს მიღებული ცოდნის მოქნილ და აქტიურ გამოყენებას. მასწავლებლის ძირითადი სასწავლო მიზანია კლასში აზროვნების კულტურის დამკვიდრება. აღსანიშნავია, რომ პერკინსის თეორიის ცენტრალური ცნებებია “გაგება” და “გენერაციული” ანუ პროდუქტული ცოდნა.*[<http://mastsavlebeli.ge/?p=2447>]

განათლების სფეროში მუდმივად მიმდინარეობს სხვადასხვა მეთოდებისა თუ სტრატეგიების დანერგვა. ჩემი საკვლევი საკითხი შეეხო განათლების ერთ-ერთ თანამედროვე მიდგომას, როგორცაა საკომუნიკაციო, საპრეზენტაციო უნარების დახვეწა მოსწავლეებში; კრიტიკული აზროვნების განვითარება.

„ეფექტური პრეზენტაცია ხელს უწყობს შესწავლას, მოსწავლეთა ჩართულობასა და საკითხის ნათლად გაგებას. საჯარო პრეზენტაციის უნარი ერთ-ერთი ლიდერული უნარ-ჩვევა“. (თეო ნეფარიძე; პრეზენტაციის უნარის განვითარება)

ხშირად ვფიქრობ მოსწავლის საჭიროებაზე მორგებული აქტივობების შერჩევაზე. ლექსიკის გასამდიდრებლად, არგუმენტირებული მსჯელობის განსავითარებლად, აუდიტორიის წინაშე საპრეზენტაციო უნარების დასახვეწად ვიყენებ სხვადასხვა აქტივობებს: დისკუსიას, დებატებს, წერილობითი თუ ზეპირი სახის პრეზენტაციებს. ეს ისეთი ტიპის აქტივობებია, რომლებიც მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებაზეა მიმართული. თუმცა, ამ ტიპის აქტივობების დაგეგმვისას დავალებებს ვალაგებ მარტივიდან რთულისაკენ, ეს კი მეხმარება დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეების საგაკვეთილო პროცესში ჩართვასა და გააქტიურებაში.

პერკინსის აზრით, მაღალი დონის სააზროვნო პროცესების განხორციელება, როგორცაა ახსნა, მაგალითების მოყვანა, განზოგადება, ანალოგიის მიხედვით დასკვნის გამოტანა, ცნებების სხვა კონტექსტში გამოყენება და ა.შ. ისეთ პროცესებს მოიცავს, რომლებიც მიღებული ცოდნის ახალ სიტუაციაში გამოყენების საშუალებას მისცემს მოსწავლეს. პერკინსი მათ “გაგების მოქმედებებს” უწოდებს. კონკრეტული

საკითხის გაგება ნიშნავს ამ “გაგების მოქმედებების” განხორციელებას საკითხის გარშემო. მაგ.: ასეთი “გაგების მოქმედებებია” კონკრეტული საკითხის სხვადასხვა კუთხით განხილვა, კატეგორიების გამოყოფა, კითხვების დასმა, ამ კითხვებზე შესაბამისი ინფორმაციის მოპოვება, წინააღმდეგობრივი ფაქტებისა და დებულებების გამოყოფა, კითხვაზე პასუხის გაცემის მცდელობა არსებული ინფორმაციის საფუძველზე და ა. შ.

მოლოდინი იმისა, რომ ამ ტიპის აქტივობები მოსწავლეებში შედეგიანი იქნება, ისინი თანდათანობით დახვეწენ იმ უნარებს, რაც მომზადებული მასალის საპრეზენტაციოდ აუცილებელია, ხშირად არ მართლდება. ის, რაც ინდივიდუალურ მუშაობას, სამეტყველო უნარების განვითარებაზე მუშაობას მოითხოვს, ნაკლებად საინტერესო ხდება მათთვის. პრობლემა რაშია? სწორედ ამ კითხვამ გადამაწყვეტინა აღნიშნული კვლევის დაწერა.

პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია მაღალ კლასებში, სადაც ბევრი მოსწავლე სწრაფად და კარგად ახერხებს სხვადასხვა სამუშაოს შესრულებას მაშინ, როცა მოსწავლეთა მცირე ნაწილი ვერ ახერხებს აჰყვეს ვერც ტემპსა და ვერც-ხარისხს. ამ დროს ხდება მათი დათრგუნვა, დემოტივაცია. ინერტულობა და პასიურობა, რაც ზეპირი პრეზენტაციის დროს აშკარა და შესამჩნევია.

კითხვა-პასუხის, დებატების, ჯგუფური მუშაობისა და პრეზენტაციის დროს აქტიურობენ უკეთ მომზადებული მოსწავლეები და ეს ერთგვარ ბარიერს ქმნის სხვადასხვა შესაძლებლობების მოსწავლეთა შორის, მათი მოტივაცია ქრება.

როგორც მოგეხსენებათ, თანამედროვე მეთოდების დანერგვა ეტაპობრივად მიმდინარეობს საგანმანათლებლო სფეროში. შესაბამისად, ჩემს მოსწავლეებთან, რომლებიც შემდგომ ჩემს საკვლევ ჯგუფს წარმოადგენს, დავიწყე კრიტიკული აზროვნებისა და საპრეზენტაციო უნარების განვითარებაზე მუშაობა. ვცდილობდი, საგაკვეთილო პროცესის ისე წარმართვას, რომ მოსწავლეებისთვის შემექმნა „კომფორტული“ გარემო, რათა ისინი უფრო გახსნილი და თავისუფალი ყოფილიყვნენ სადისკუსიო თუ საპრეზენტაციო თემატიკის არჩევანში. ხშირად ვთავაზობდი დებატებს, რომელიც მოზარდებში ავითარებს კომუნიკაციის,

კრიტიკული აზროვნების, ურთიერთობის, თანამშრომლობისა და თვითდამკვიდრების უნარებს. „დებატების ხელოვნება ამ შემთხვევაში განიხილება, როგორც პოზიტიური კონფლიქტი, რომლის დროსაც ხდება მოზარდის ინტელექტუალური და პიროვნული ზრდა, მზადება მომავალი ზრდასრული ცხოვრებისათვის. ფორმალური დებატების დროს აზრთა ჭიდილი წარმოქმნის კონსტრუქციულ ძალას, რომელიც გამოდის გარეთ და უბიძგებს ახალგაზრდა პიროვნებას, ზედაპირზე გამოიტანოს კონკრეტული მოვლენებისა თუ ფასეულობების მიმართ გონებაში ღრმად შენახული აზრები და დამოკიდებულებები. იმ ასაკში, როდესაც ადამიანის პიროვნება ყალიბდება, ძალზე მნიშვნელოვანია ღირებულებებისა და პრობლემატური საკითხების მიმართ საკუთარი, თავისუფალი (თუნდაც, მცდარი) შეხედულებების ქონა და პოზიტიურ გარემოში მათი დაფიქსირება. დებატი უბიძგებს ახალგაზრდას გამოთქვას თავისი პოზიცია მთელი სიმძაფრით და დამაჯერებლობით. დებატის ძირითადი პრინციპები - ლოგიკური მსჯელობა და არგუმენტაცია - მოითხოვს მისგან სადებატო თემის კვლევას, გაანალიზებას და სწორი დასკვნების გამოტანას“. [კარლ პოპერი, ფორმალური დებატების სწავლების დამხმარე სახელმძღვანელო; ნინო ბერიშვილი]

მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი, ზოგადად, არ იყო დადებითად განწყობილი ასეთი ტიპის გაკვეთილების მიმართ. ვერ ვიტყვი, რომ ხალისით ერთვებოდნენ ისინი დებატებსა თუ პროექტებზე დაფუძნებულ სწავლებებში, პრეზენტაციებსა თუ დისკუსიებში. ასეთი მოსწავლეები გაკვეთილებზე პასიურად ისხდნენ, მხოლოდ მსმენლის როლს ირგებდნენ ან ნაკლებად ყურადღებით უსმენდნენ თანატოლებს, არ გამოთქვამდნენ საკუთარ მოსაზრებებს, არ ერეოდნენ კამათში, არ ერთვებოდნენ თანაგუნდელებთან დიალოგში, შეიძლება ითქვას, რომ ისინი ჯგუფში იყვნენ, თუმცა - დამკვირვებლის როლში, „შორიდან“ უყურებენ თანატოლთა მუშაობას. ჩემს მცდელობებს, რომ გამემხნეებინა და წამეხალისებინა, შედეგი არ მოჰყოლია. ზეპირი თუ წერილობითი პრეზენტაციების ანალიზებზე დაყრდნობით ასეთი მოსწავლეების ნაწილი წერილობით უფრო უკეთ აყალიბებდა სათქმელს, ვიდრე - ზეპირად. ისინი

არ აქტიურობდნენ არც საერთო საკლასო მუშაობის დროს. არჩევდნენ თავისთვის, ჩრდილში ყოფნას და არ ცდილობდნენ კომუნიკაციას მეგობრებთან. აშკარა იყო აღნიშნულ მოსწავლეებში საპრეზენტაციო, კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარ-ჩვევების უქონლობა. ეს კი მათ თვითშეფასების ხარისხზე უარყოფითად აისახებოდა.

ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე მუდმივად ვცდილობ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას, რაც გულისხმობს ყურადღების გამახვილებას თითოეულ მოსწავლეზე, როგორც სასწავლო პროცესის მთავარ მონაწილეზე.

სამოქმედო გეგმის შედგენისას ყოველთვის ვითვალისწინებ საკუთარი მოსწავლეების საჭიროებებს, სადაც თითოეული ბავშვის ინდივიდუალური თავისებურების და მრავალფეროვნების გათვალისწინებაც არის აუცილებელი. ვინაიდან ჩემი მოსწავლეების საჭიროებას წარმოადგენდა ზემოაღნიშნული უნარების განვითარება, გადაწყვიტე ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის საშუალებით, პროფესიული განვითარების პროგრამის ფარგლებში, გამომეკვლია ჩემი მოსწავლეების წინაშე არსებული გამოწვევები და მეპოვა საპასუხო გზები.

ჩემი კვლევის მთავარი კითხვის არსიც ისაა, რომ გამერკვია მიზეზები, რაც იწვევდა მოსწავლეების პასიურობას, რა უშლიდათ ხელს, რომ თამამად გამოეთქვათ და დაეცვათ საკუთარი აზრი, რატომ „ყლაპავდნენ“ სიტყვებს საუბრისას, რატომ არ შეეძლოთ აზრის სწორად ჩამოყალიბება, რატომ საუბრობდნენ ხმადაბლა, გაუბედავად, რა განაპირობებდა მათ ჩაკეტილობას პრეზენტაციისა თუ ჯგუფური მუშაობის დროს, რატომ არ თანამშრომლობდნენ მეგობრებთან.

სამოქმედო გეგმის შედგენისას, გავითვალისწინე საკუთარი საჭიროებებიც და პროფესიული გამოცდილების გაზრდის მიზნით გავეცანი ან საკითხთან დაკავშირებულ საგაზეთო სტატიებსა თუ სამეცნიერო ლიტერატურა.

თავი II

ლიტერატურის მიმოხილვა

21-ე საუკუნის მოსწავლეთათვის მნიშვნელოვანია სააზროვნო უნარების განვითარება, დღეისათვის თანამედროვე ქართული განათლების სისტემა სარგებლობს ბლუმის ტაქსონომიით. ბლუმის ტაქსონომია ასეა წარმოდგენილი ბენჯამენ ბლუმის მიერ: ცოდნა, გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი და შეფასება. ეს ნიშნავს იმას, რომ მოსწავლეს უნდა შეეძლოს ფაქტებისა და მოვლენების ცოდნა, გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი და შეფასება.

კვლევის განხორციელებისთვის

გავეცანი და ვიხელმძღვანელებ შემდეგი ლიტერატურით:

1. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის გზამკვლევი, 2014; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

გზამკვლევში ვკითხულობთ: კრიტიკულ აზროვნებას ხშირად გამაერთიანებელ აზროვნებასაც უწოდებენ.რაც გულისხმობს მრავალი განსხვავებული იდეის მიღებას და მათ დალაგებას ერთი მიზნის ან შედეგის გარშემო.

განასხვავებენ კრიტიკული აზროვნების 5 ძირითად ნიშანს:

- ✓ კრიტიკული აზროვნება დამოუკიდებელი აზროვნებაა.თუ მასწავლებელს სასწავლო პროცესი აგებული აქვს მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე,მაშინ მან ისეთი აქტივობები უნდა გამოიყენოს,რომლებიც თითოეულ მოსწავლეს დაეხმარება საკუთარი იდეების ,შეხედულებებისა და შეფასებების სხვებისგან დამოუკიდებლად ჩამოყალიბებაში.
- ✓ კრიტიკული აზროვნებისათვის ინფორმაციის მოპოვება და ფაქტების ცოდნა საწყისი წერტილია და არა საბოლოო მიზანი-მაშასადამე,ცოდნისა და

გამოცდილების დაგროვება არის აუცილებელი კრიტიკული აზროვნებისათვის.

- ✓ კრიტიკული აზროვნება იწყება პრობლემის დაყენებიდან და მისი გაცნობიერებიდან-სააზროვნო პროცესი იწყება პრობლემის გადაჭრის მოთხოვნილებებიდან.სწორედ ცნობისმოყვარეობა უდევს საფუძვლად კითხვებს:რატომ,როგორ,საიდან?
- ✓ კრიტიკული აზროვნება მოითხოვს დამაჯერებელ არგუმენტაციას-ყველა არგუმენტს აქვს თავისი კონტარგუმენტი,ამიტომ არგუმენტაციის ჩამოყალიბებას სერიოზული მოფიქრება და წესების დაცვა სჭირდება.მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა ასწავლოს დამაჯერებელი არგუმენტირება.
- ✓ კრიტიკული აზროვნება სოციალურიაზროვნებაა-კრიტიკული აზროვნების განვითარება და პრობლემების სწორად გადაჭრის გზების ძიება სხვა ადამიანებთან კამათის, აზრის გაცვლის გარეშე შეუძლებელია.

კრიტიკული აზროვნების განვითარების ხელშესაწყობად მასწავლებლებმა მოსწავლეებს უნდა გამოუმუშაოს :

- ✓ სხვათა მოსმენისა და მათი აზრის გათვალისწინების უნარი.
- ✓ საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისა და მისი დაცვის უნარი.
- ✓ საკუთარი მოსაზრების პასუხისმგებლობის გრძნობა.
- ✓ საკუთარი და სხვათა შეხედულებების ადეკვატურად შეფასებისა და საჭიროების შემთხვევაში საკუთარი შეცდომის აღიარებისა და უკან დახევის უნარი.

2. ეფექტური სწავლება სკოლაში - რობერტ ჯ. მაზანო; დებრა ჯ. ფიქერინგი; ჯეინი ი. ფოლოქი - ვკითხულობთ: არის თუ არა ზოგიერთი სწავლების მეთოდი განსაკუთრებით ეფექტური განსაზღვრულ საგანში? არის თუ არა ზოგიერთი სწავლების მეთოდი განსაკუთრებით ეფექტური რომელიმე ასაკობრივ ჯგუფთან?

არის თუ არა ზოგიერთი სწავლების მეთოდი განსაკუთრებით ეფექტური გარკვეული მახასიათებლების მქონე მოსწავლეებთან?

მათზე პასუხები დაგვეხმარება, სწავლების ხელოვნება სწავლების მეცნიერებად ვაქციოთ. ეს სტრატეგიებია:

- ✓ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება.
 - ✓ კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარება.
- კვლევაზე მუშაობის დროს ძალიან დამეხმარა

3. “მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი” (ნაწ. II.), რომელიც საუკეთესო რესურსია მასწავლებლისათვის. გზამკვლევაში ახსნილია და დეტალურადაა გაწერილი ყველა ის ნაბიჯი, რაც პედაგოგს სჭირდება პროფესიული განვითარებისათვის.

4. სოფიკო ლობჯანიძის სტატიაში_ „როგორ წარმართოთ პედაგოგიური კვლევები“ (ინტერნეტგაზეთი „mastsavlebeli.ge“) ახსნილია პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა, მისი თავისებურებანი, ეტაპები, საკვლევი თემის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანი კონცეპტები და ა.შ. “პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა მარტო სირთულეების გადასალახავად კი არ არის საჭირო, არამედ ახალი იდეების, ინოვაციების გამოსაცდელად, საკუთარი ძალების გასაძლიერებლად, საკუთარი ძლიერი მხარისა და პოტენციალის აღმოსაჩენად, საჭირო უნარ-ჩვევების გასავითარებლადაც“. /ს. ლობჯანიძე/.

5. სოფიო გორგოძე, მანანა ბოჭორიშვილი, ნინო ჭიაბრიშვილი, ქეთევან ჭიაბრიშვილი, გიორგი გახელაძე- გზამკვლევი მასწავლებლებისათვის-ვისწავლოთ და ვასწავლოთ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება.-

გზამკვლევაში ვკითხულობთ, თუ როგორ ჩამოვაყალიბოთ და დავასაბუთოთ

საკუთარი აზრები, რა საშუალებები გამოვიყენოთ, რათა შევძლოთ უკეთ

გავაანალიზოთ საკუთარი, თანამოსაუბრისა თუ მედიასაშუალებებში მოსმენილი

თუ წაკითხული არგუმენტები და ჯეროვნად შევაფასოთ ისინი.

6. პრეზენტაციის უნარების განვითარება; <http://mastsavlebeli.ge/?p=2031> სადაც საუბარია, რომ ეფექტური პრეზენტაციის ხელს უწყობს შესწავლას, მოსწავლეთა ჩართულობას და საკითხის ნათლად გაგებას. ფლობდე საჯარო პრეზენტაციის უნარ-ჩვევებს, ერთ-ერთი ლიდერული უნარ_ჩვევააა.
7. ლევ ვიგოტსკი „აზროვნება და მეტყველება“ 1934 წ
8. მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი;
(http://tpdc.gov.ge/uploads/pdf_documents/gzamkvlevi%20meore%20nawili.pdf)
9. ჯეფრი ი. მილსი სამოქმედო კვლევა
(<http://medialiteracy.ge/uploads/library/samoqmedo-kvleva-jefri-i-milsi-46.pdf>)

მოსწავლის მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებაზე ძალიან ბევრი და მნიშვნელოვანი ფაქტორი მოქმედებს, როგორც თანამედროვე პედაგოგიკის თეორეტიკოსები აღნიშნავენ: „მოსწავლე უნდა ჩავრთოთ სასწავლო პროცესში და მისი შედეგების ანალიზში. ყურადღება უნდა გამახვილდეს პირად პროგრესზე და შედეგების ანალიზზე.(ბანდურა,2012) აქედან გამომდინარე, საჭიროდ მიმაჩნია, მოსწავლეებს შევთავაზო ცვლილებები, სიახლეები, მოვძებნო გზები მათში ინტერესის გასაღვიძებლად და ა. შ.

თავი III

კვლევის აღწერა

3.1. კვლევის ეტაპები

კვლევის საწყის ეტაპზე პრობლემის გამომწვევი მიზეზების უფრო კონკრეტულად დასადგენად, შევხვდი კოლეგებს. მათთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი, რომ სამეტყველო და საპრეზენტაციო უნარების გაუმჯობესებისა და სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეებში წიგნიერების დონის ამაღლებას, რაც პირდაპირპროპორციულია ლექსიკის გამდიდრებისა, წაკითხულის შინაარსის გადმოცემისა, მეტყველებისა და საკომუნიკაციო უნარების დახვეწისა. მოსწავლე ეუფლება არ მხოლოდ წინადადების სინტაქსურ-სტილისტურ ბუნებას, მის გაგება-გააზრებას, არამედ ნააზრევიდან ემოციური განწყობის ამოკითხვას. ის ფაქტი, რომ მოსწავლეები სათანადოდ ვერ ფლობენ საპრეზენტაციო და აზრის ნათლად ჩამოყალიბების უნარებს, არა მხოლოდ მათ აკადემიურ მოსწრებაზე აისახება, ეს პრობლემას უქმნის მათ თავიანთი მოსაზრებებისა და შეხედულებების გასაგებად ჩამოყალიბებისას და ამიტომ მნიშვნელოვანია ამ კუთხით მუშაობა და მისი აღმოფხვრა. კოლეგებთან საუბრისას გაჩნდა ჰიპოთეზები, რომ მეშვიდე კლასებში ამ პრობლემის გაჩენა, შესაძლოა, განპირობებული ყოფილიყო იმით, რომ მოსწავლეების გარკვეული ნაწილი ეძალება უცხოენოვან მხატვრულ ლიტერატურას, ეს კი მათ ამორებით მშობლიური ენის მდიდარ ლექსიკას, რაც აისახება მათ მეტყველებაზეც. გამოითქვა მოსაზრებები, რომ უფრო მეტად გავააქტიუროთ მოსწავლეები შემოქმედებითი კუთხით, საგაკვეთილო პროცესი დავგეგმოთ ისე, რომ ხშირი იყოს დისკუსიები და დებატები, ზეპირი სახის პრეზენტაციები.

კვლევის მომდევნო ეტაპზე შევიმუშავეთ კვლევის გეგმა:

- მეშვიდე კლასში არსებული პრობლემის იდენტიფიცირება;
- არსებული პრობლემის მიზეზების დადგენა-გაანალიზება;
- პრობლემის აღმოსაფხვრელად ადეკვატური მეთოდების მოძიება;
- ინტერვენციების განხორციელება;
- კვლევის შედეგების შეფასება-გაზიარება.

პრობლემის იდენტიფიცირებისა და კვლევის გეგმის შემუშავების შემდეგ განვსაზღვრეთ კვლევის მეთოდოლოგია, რომელიც დაგვეხმარება საკვლევი პრობლემის გადაჭრასა და ვალიდური დასკვნების გამოტანაში.

მუშაობისას გამოვიყენეთ კვლევის როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მეთოდები:

- გამოკითხვა;
- ჩაღრმავებული ინტერვიუ;
- ფოკუს-ჯგუფი.

კვლევის 1-ელ ეტაპზე დავამუშავეთ ინფორმაცია მე-7 კლასებში არსებული პრობლემების იდენტიფიკაციის შესახებ;

II ეტაპი მოიცავდა სამუშაოებს - მოსწავლეთა და პედაგოგთა გამოკითხვებს, ფოკუსჯგუფებს, უფროსკლასელებსა და მშობლებთან შეხვედრებს.

III ეტაპზე დავამუშავეთ შეგროვებული მასალა, გავაანალიზეთ და ამ ანალიზის საფუძველზე შევიმუშავეთ დამატებითი მექანიზმები საკვლევი პრობლემის გადასაჭრელად.

კვლევის დასკვნით ეტაპზე განვახორციელეთ ინტერვენციები. ინტერვენციების რეფლექსიის შედეგად შევიმუშავეთ საგაკვეთილო(სასკოლო) სტრატეგიული გეგმის შედგენისას გასათვალისწინებელი რეკომენდაციები.

კვლევის სამიზნე ჯგუფი:

კვლევისას გამოვიყენეთ მიზნობრივი შერჩევის მეთოდი როგორც მასწავლებლების, ისე მოსწავლეების გამოკითხვისთვის.

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ საქართველოს სასწავლო ცენტრ „ჯი-ელ-სის“ მე-7¹ და მე-7² კლასის მოსწავლეები. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 25-მა მოსწავლემ.

გამოკითხვაში მონაწილეობისთვის შევარჩიეთ პედაგოგთა ის ნაწილი, რომელიც ასწავლის ამჟამად ან ასწავლიდა ადრე ზემოთ აღნიშნული კლასის მოსწავლეებს. შერჩეული 21 პედაგოგიდან კითხვარის შევსებაზე დაგვთანხმდა სხვადასხვა საგნის 18 პედაგოგი.

კვლევის ვადები: კვლევის განხორციელებას დასჭირდა 7 თვე: 01.11.2018-05.06.2019 წწ.

3.2. ინფორმაცია სამიზნე სკოლის შესახებ

- სკოლა დაფუძნდა 1995წელს.
- გერმანული ენის სადიპლომო სკოლა 2012 წლიდან; –DSD – Schule;
- TOEFL - ის სასერტიფიკატო სკოლა 2016 წლიდან; ჰაიდელბერგის ენების აკადემიის ოფიციალური წარმომადგენლობა საქართველოში 2008 წლიდან;
- კარლსრუეს მერკურ–აკადემიის პარტნიორი სკოლა 2011 წლიდან (გაცვლითი პროგრამა);

3.3. მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი

კვლევის საწყის ეტაპზე მინდოდა, გამერკვია თუ რატომ არ შეეძლო მოსწავლეთა ნაწილს ეფექტური პრეზენტაცია, რით იყო გამოწვეული იმათ მეტყველებაში არსებული პრობლემები, საკლასო დისკუსიებისა თუ დებატების დროს დანახული ხარვეზები. რა იმალებოდა ამის იქით? რას ვერ ვამჩნევდი? გადავწყვიტე, გავსაუბრებოდი იმ პედაგოგებს, რომლებიც მათ ამჟამად ასწავლიან და იმათაც, ვინც ადრე ასწავლიდა. ზოგადად, გამერკვია, როგორი საპრეზენტაციო უნარები ჰქონდათ წინა წლებში, ან-ახლა. კვლევის ინსტრუმენტებიდან გამოვიყენე ანკეტირება. მასწავლებელთა შერჩევა განპირობებული იყო იმით, რომ კარგად გამეანალიზებინა პრობლემის არსებობა დროსა და სივრცეში. მათ გავაცანი ჩემი კვლევის მიზანი, ავუხსენი, რამდენად მნიშვნელოვანი იყო მათი მონაწილეობა კვლევაში. მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია მნიშვნელოვან მიგნებებში დამეხმარა.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო მასწავლებლების იმ ნაწილმა, რომლებიც ასწავლიდნენ ადრე და ასწავლიან ამჟამად ' მე-7¹ და მე-7² კლასებს.

თოეული მათგანის მოსაზრება მნიშვნელოვანია პრობლემის იდენტიფიცირებისა და საკვლევი მეთოდის შემდგომი დანერგვისთვის.

პედაგოგების **გამოკითხვის მიზანი** იყო დაგვედგინა:

- რა ტიპის გაკვეთილებს სთავაზობდნენ მოსწავლეებს, როგორ ახერხებდნენ მოსწავლეები საკუთარი ცოდნის პრეზენტაციას?
- რა პრობლემები ხვდებოდათ ამ საკითხთან მიმართებაში?
- როგორ წარმოუდგენიათ აღნიშნული პრობლემების მოგვარება?
- რა ცვლილებებია საჭირო იმისთვის, რომ მოსწავლეს აუმაღლდეს შინაგანი მოტივაცია.

გარდა ამისა, მასწავლებლების გამოკითხვის მიზანი, იყო, რომ პასუხი მიგვეღო მნიშვნელოვან კითხვებზე, დაგვედგინა პრობლემის არსი, მსჯელობის, გამართული, დამაჯერებელი მეტყველების მნიშვნელობა სწავლებაში, რამდენად არიან მასწავლებლები ორიენტირებული მოსწავლეთა საპრეზენტაციო უნარების გაუმჯობესებაზე, რა შედეგები აქვთ მოსწავლეებს ამ კუთხით, რა კონკრეტული ფორმით უწყობენ ხელს, აანალიზებენ თუ არა შინაგანი მოტივაციის მნიშვნელობასა და სარგებელს სასწავლო პროცესის სრულყოფისთვის. რა ცვლილებებია საჭირო იმისთვის, რომ მოსწავლემ გაიუმჯობესოს საპრეზენტაციო უნარები აუმაღლდეს შინაგანი მოტივაცია, ხოლო მასწავლებელმა შეძლოს თავისი პროფესიული საქმიანობის წარმატებით წარმართვა.

აღმოჩნდა:

- პედაგოგების უმრავლესობა ფიქრობს, რომ მოსწავლეების ნაწილი ვერ ფლობს საპრეზენტაციო უნარებს, აგრეთვე, შინაგანი სასწავლო მოტივაციის დაბალი მაჩვენებელი ყველაზე დიდი პრობლემაა სწავლებისას, ისინი მოსწავლეებს სთავაზობენ სხვადასხვა აქტივობებს, თუმცა შედეგი არასახარბიელოა. მათი თქმით, პრობლემები არის სასწავლო პროცესის წარმართვაში, საჭიროა გაკვეთილებზე უფრო მეტად მოსწავლის გასააქტიურებელი აქტივობები ჩართონ.


- პედაგოგთა მცირე ნაწილი ამ პრობლემას არ მიიჩნევს ყველაზე მნიშვნელოვნად.

გამოკითხვის შედეგებმა (დანართი #1 დიაგრამა #1; 2; 3; 4) აჩვენა, რომ ეს პრობლემა ყველასათვის ნაცნობი იყო და გადაულახავ რუბიკონად ქცეულა. პროექტებსა თუ სხვა ტიპის აქტივობებზე მუშაობისას მოსწავლეთა ნაწილს უჭირს დამუშავებული თუ შესწავლილი მასალის პრეზენტაცია. სრულად ვერ ახერხებენ აზრის ნათლად გამოხატვას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა გარკვეულ ნაწილში იკლო წიგნიერების დონემ. ეს პირდაპირ აისახა მათ ლექსიკასა და კომუნიკაციის უნარებზე. მასწავლებელთა გამოკითხვამ დაგვანხა ისიც, რომ მოსწავლეთა ნაწილი გაურბის წარუმატებლობის რისკს, რადგან შეცდომისა ეშინიათ. ამის გამო ცდილობენ მსმენლის პოზიციაში ყოფნას. ნაწილი კი უბრალოდ, არ იჩენს ინიციატივას, ჰგონია, რომ მას არ ეხერხება კარგად საუბარი.

გამოკითხვამ დამანახა, რომ სტანდარტული ერთფეროვანი გაკვეთილები ძირითადად შემოფარგლულია მოსწავლეთა გამოკითხვითა და ახალი მასალის გადაცემით, რომლის დროსაც მასწავლებლები ხშირად არ ვიყენებთ მრავალფეროვან აქტივობებსა და სტრატეგიებს, ამ დროს ვუსვამთ კითხვებს, რომლებიც გადის მაღალ სააზროვნო უნარებზე, თუმცა ახლა ვხვდები რომ ეს საკმარისი არ არის, ეს ბოლომდე ვერ მისცემს მოსწავლეს საკუთარი აზრის ვრცლად, მკაფიოდ დააფიქსიროს აზრი. ვფიქრობ, საგაკვეთილო ფორმატი ისე უნდა მოვარგოთ მოსწავლის საჭიროებას, რომ მეტი დრო დავუთმოთ მოსწავლეს ფიქრისა და განსჯისათვის, მსჯელობისა და კამათისთვის. ეს მოტივაციასაც მნიშვნელოვნად აუმაღლებს მოსწავლეს.


დანართი 1. დიაგრამა # 1.

როგორი ტიპის გაკვეთილებს ანიჭებთ უპირატესობას?




დიაგრამა # 2


იყენებთ თუ არა პროექტზე დაფუძნებული სწავლების მეთოდებს გაკვეთილზე?



დიაგრამა# 3



დიაგრამა# 4



მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგად ამოჩნდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეებს მოწონთ პროექტებზე მუშაობა 36% მასწავლებლების, ვერ აორციელებს ამ სახის პროექტებს საგაკვეთილო პროცესში. მოსწავლეთა გარკვეულ ნაწილს უჭირს პეზენტაცია.

3.4. მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი

პედაგოგთა პასუხებმა ცხადყო, რომ საკვლევი პრობლემა რეალური და აქტუალურია, რის შემდეგაც კვლევაზე მუშაობა მოსწავლეებთან განვაგრძეთ.


გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო მიზნობრივად შერჩეულმა 25-მა მოსწავლემ.

მოსწავლეებთან ჩატარებული კვლევის მიზანი იყო გამერკვია მოსწავლეთა დამოკიდებულება საერთო საკლასო მუშაობის შესახებ, როგორი ტიპის გაკვეთილი იყო მათთვის ყველაზე მისაღები, რამდენად აქტიურნი არიან ისინი გაკვეთილზე, რამდენად უადვილდებათ საკუთარი აზრის ჩამოყალიბება და რატომ არის მნიშვნელოვანი საპრეზენტაციო უნარების დახვეწა.

კითხვარი შედგებოდა 6 ლია და 15 დახურული შეკითხვებისგან. (იხ.დანართი 5.)


გამოკითხული მოსწავლეების პასუხები პროცენტულად შემდეგნაირად გადანაწილდა:

ხართ თუ არა საგაკვეთილო პროცესში ჩართული ხშირად?




ა) ჩართულია ხშირად - 48% ბ) ზოგჯერ - 23% გ) იშვიათად - 29%


როგორი ფორმის გაკვეთილები მოგწონთ?



მოწონს: ა) ლექციური - 2% ბ) შემაჯამებელი - 14% გ) პროექტების დაცვა - 84%



ისტ-ი გაკვეთილზე ეფექტურია: ა) კი-98% ბ) არ ვიცი -2% გ) არა- 0%



პროექტებზე მუშაობა: ა) იშვიათად - 15% ბ) არა - 38% გ) კი-47%

მასწავლებელთა ანკეტირებამ აჩვენა:

- ✓ სკოლაში უმეტესად ტარდება ერთფეროვანი გაკვეთილები;
- ✓ გაკვეთილზე მთავარ როლს ასრულებს მასწავლებელი;
- ✓ მასწავლებელი ძირითადად იყენებს მინი ლექციას ახსნისას, გაკვეთილის თხრობას --ჩაბარების დროს;
- ✓ არ არის გათვალისწინებული ტექსტების შესწავლისას მოსწავლეთა ინტერესები;

- ✓ მოსწავლეებმა არ იციან სწავლა-სწავლების სტრატეგიები/დასწავლის ხერხები;
- ✓ ისინი სიამოვნებით ერთვებიან დისკუსიებსა და დებატებში;
- ✓ მოსწონთ პროექტების კეთება;
- ✓ აქვთ დაბალი მოტივაცია;
- ✓ მოსწავლეთა ნასილს რცხვენია სჯაროდ აზრის გამოთქმა;
- ✓ უყვართ თავისუფალი გაკვეთილები.

მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ მსგავსი გაკვეთილები იშვიათად უტარდებათ, (მასწავლებელთა უმრავლესობა არჩევს აკადემიურ სტილს: გაკვეთილის გამოკითხვა-დავალების შემოწმება-ახალი მასალის ახსნა). მათ გამოთქვას ვარაუდი, რომ თუ სისტემატური ხასიათი ექნება ამგვარი ტიპის გაკვეთილებს, მოტივაცია აუმაღლდებათ და მეტყველებასაც უფრო დახვეწენ. ურჩევენიათ ჯგუფური მუშაობა, დებატების გამართვა, როლური თამაშები. აღიარეს, რომ მართლაც დაშორდნენ წიგნს, რამაც გამოიწვია ლექსიკის სიმწირე, ნაკლებთავდაჯერებულობა და ზოგჯერ სიმორცხვეც კი. თქვეს, რომ კომპიუტერულმა თამაშებმა ჩაანაცვლა წიგნი, მათი უმრავლესობა მიეჯაჭვა ინტერნეტს, ნაკლებად კონტაქტობს თანატოლებთან, ოჯახში განიცდიან უფროსებთან, მშობლებთან ურთიერთობის დეფიციტს. აღნიშნეს, შინ უმეტესად მარტო უწევთ ყოფნა, ან - ხშირ შემთხვევაში, დაკავებული არიან სპორტითა და სხვა აქტივობებით. სწავლაში წარჩინებულ მოსწავლეთა მხრიდან გამოითქვა აზრი, რომ ისინი პრობლემას თვითონ ამ მოსწავლეებში ხედავენ, ისინი თვლიან, რომ ეს მოსწავლეები ზარმაცობენ, ხშირად მოუმზადებლები მოდიან სკოლაში, მათი პასიურობაც აქედან გამომდინარეობს.

თავი IV

ინტერვენციები

4.1. ინტერვენცია 1

გადაწყვეტიტე მე-7 კლასებში დამეგემა ისეთი აქტივობები, რომელიც გაზრდიდა მოსწავლეების ჩართულობასა და მოტივაციას პროექტებსა და პრეზენტაციებში .

ინტერვენციის გეგმა ითვალისწინებდა მოსწავლეთათვის ისეთი საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელებას, რომ გამოკვეთილიყო, რამდენად არის შესაძლებელი მორცხვსა და პასიურ მოსწავლეებში მოტივაციის გაზრდა და პრეზენტაციისთვის ხელისშემშლელი ფაქტორების აღმოფხვრა. აქედან გამომდინარე, რა კონკრეტული ფაქტორები უწყობს ხელს მოსწავლეს სასწავლო პროცესის მიმართ პოზიტიური განწყობის შექმნასა და მოტივაციის ამაღლებაში.

ამისათვის განვახორციელე მე-7 კლასების მოსწავლეებზე დაკვირვება: მე-7/1 კლასის მოსწავლეები გავაფრთხილე, რომ მიცემული გაკვეთილი კარგად ესწავლათ, შევარჩიეთ თემაც. შემდეგ გაკვეთილზე მოვაწყობდით დებატებს. შერჩევის პრინციპით გადავანაწილებდით როლებს. ისინი ხალისით დამთანხმდნენ. მათ გავაცანი სკოლის მოსწავლეთათვის განკუთვნილი ფორმატებიდან ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული კარლ პოპერის სახელობის დებატების ფორმატი.

(<https://www.scribd.com/doc/65907430/%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98>)

მეორე დღეს, მოსწავლეებმა მთხოვეს როლები თავად გადაენაწილებინათ, მიზეზად ერთმანეთთან მეგობრობა დაასახელეს, მე დავთანხმდი, თუმცა გავაფრთხილე, რომ შემდეგში თანაბარი შესაძლებლობების მოსწავლეებს შევარჩევდით. გავმართეთ დებატები, თავიდან თითქოს აქტიურობდნენ, თუმცა ნელ-ნელა ისევ წარჩინებული მოსწავლეები გააქტიურდნენ და პასიურები ჩრდილში მოექცნენ, შესაბამისად, დავალებას ვეღარ გაართვეს თავი. (გაკვეთილის დასასრულს

ადიარეს, რომ წინა დღეს იზარმაცეს და დაკისრებულ მოვალეობას უპასუხისმგებლოდ მოეკიდნენ.) მოდებატე მოსწავლეები მსჯელობდნენ არგუმენტირებულად, ყოფნიდათ სათანადო ლექსიკა, აკლდათ თავდაჯერებულობა, მე მაინც აღვნიშნე, რომ დებატების დასაწყისში მომეწონა მათი აქტიურობა და მსჯელობასაც არა უშავდა -რა.

ინტერვენცია 2

მიზეზების გარკვევისა და გაანალიზების შემდეგ, უნდა მეპოვა გზები, თუ როგორ დავხმარებოდი მოსწავლეებს კომუნიკაციისა და თანამშრომლობის, საპრეზენტაციო უნარების განვითარებაში, რადგანაც სასწავლო პროცესში საჭირო და აუცილებლად მიმაჩნია ცოდნისა და უნარების ინტეგრირება.

პრობლემის უკეთ გასაანალიზებლად დავესწარი ისტორიის გაკვეთილს. მაინტერესებდა, როგორი კუთხით წარმოაჩენდნენ ისინი თავს. ამჯერად სამიზნე ჯგუფი იყო მე-7/2 კლასი. შევუთანხმდი გეოგრაფიის მასწავლებელს. აღმოჩნდა, რომ ტრადიციული გაკვეთილის დროს, როცა ჭარბობს ფრონტალური გამოკითხვა, ძირითადად აქტიურობენ ძლიერი მოსწავლეები. ისინი ახალ მასალას ადვილად იგებენ, სწრაფად ითვისებენ, მსჯელობენ, გამოთქვამენ ვარაუდებს და მასწავლებელიც მათ ეყრდნობა. მიუხედავად მასწავლებლის მცდელობისა, სუსტი მოსწავლე ჩრდილში დარჩა და ჩამორჩენა გარანტირებული აქვს. ვინაიდან დრო არ ყოფნის, რომ ყველაფერი ნათლად წარმოიდგინოს და ვერც იმას ბედავს, რომ კითხვებით მიმართოს მასწავლებელს; თუ შეეკითხებიან სწრაფად ვერ პასუხობს ან არასწორ პასუხს გაურბის და მოტივცია ეკარგება, დუმილს ამჯობინებს. მოკლედ, აფერხებს გაკვეთილის მსვლელობას.

ამ გაკვეთილმა კიდევ უფრო გამოკვეთა მოსწავლეთა თავდაჯერებულობის დეფიციტი, რაც იწვევს პასიურობას, ეს კი პირდაპირპროპორციულია მსჯელობასა და აზრის ნათლად ჩამოყალიბებასთან, ზეპირი პრეზენტაციის უნარის განვითარებასთან.

ინტერვენცია 3

მინდოდა მოსწავლეებს გაეაზრებინათ თავიანთი სუსტი მხარეები, ერწმუნათ საკუთარი შესაძლებლობები, გასჩენოდათ მოტივაცია უკეთესი შედეგებისა. გამომდინარე აქედან, განვხოციელე საუბრები უფროსკლასელებთან: „საპრეზენტაციო უნარების ფლობის მასტერკლასი“. დამრიგებლის საათზე მოვიწვიეთ საუკეთესო პრეზენტატორი და სწავლაში წარმატებული მოსწავლეები, მოისმინეს უფროსკლასელთა საუბრები და გაიზიარეს მათი გამოცდილება. შეხვედრით მე-12 კლასის წარმატებულ მოსწავლე დიმიტრი პაიჭაძესა და მე-10 კლასის მოსწავლე, „წიგნების თაროს“ ბლიცტურის რეკორდსმენ ილია შარმანაშვილს. შეხვედრა საინტერესო და მოსწავლეებისთვის სასარგებლო აღმოჩნდა. დ.პაიჭაძემ და ი.შარმანაშვილმა ვრცლად ისაუბრეს მოსწავლეთა მოტივაციაზე, წიგნიერების დონის ამაღლებასა და საპრეზენტაციო უნარების მნიშვნელობაზე, რომელიც აუცილებელია წარმატების მისაღწევად. მოსწავლეები დაინერესდნენ თუ როგორ დაეძლიათ სიმორცხვე და ე.წ. კომპლექსები, რათა თამამად და გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრებანი, თუნდაც-არასწორი. როგორ დაეძლიათ სიზარმაცე და სხვ. შეხვედრა მეტად საინტერესო აღმოჩნდა. მოსწავლეებმა უფროსკლასელთაგან მიიღეს მნიშვნელოვანი და სასარგებლო რჩევები. (იხ.დანართი 3)

უფროსკლასელებთან შეხვედრამ მოსწავლეებს შემატა თავდაჯერებულობა და აუმაღლა წიგნიერების ინტერესი. ზოგიერთმა მოსწავლემ გამოთქვა სურვილი სამომავლოდ ბედი ეცადა „წიგნების თაროს“ პროექტში

ინტერვენცია 4

მინდოდა, გატარებული ღონისიებების ფონზე დავგეგმე მოსწავლეთა დასწრება სპექტაკლზე. რათა შემდგომში გვესაუბრა მიღებულ შთაბეჭდილებებზე და გაგვეანალიზებინა ნანახი და გაცდილი. მე-7¹ და მე-7² კლასები წავიყვანე ნოდარ დუმბაძის სახ. მოზარდმაყურებელთა თეატრში, სპექტაკლზე „დავით სარაჯიშვილი“ (თემა სპეციალურად არასაპროგრამო შევარჩიე, რომ არ დამეფრთხო ბავშვები) სპექტაკლი მართლაც ემოციურად დატვირთული იყო.

მოსწავლეები ემოციებ ვერ ფარავდნენ... იმ დღეს მათთვის არაფერი მკთხავს, მხოლოდ გავაფრთხილე, რომ გაკვეთლზე განვიხილავდით ნანახსა და განცდილს. მეორე დღეს, გაკვეთილზე, მთელი კლასი აქტიურად იყო ჩართული მსჯელობაში, ყველა გამოთქვამდა საკუთარ მოსაძებებს, აფასებდნენ დ. სარაჯიშვილის ღვაწლს და აღფრთოვანებას არ მალავდნენ მეცენატის ქველმოქმედებასა და მოღვაწეობაზე; სინანულს გამოთქვამდნენ მაშინდელი ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე. კლასში არ იყო პასიური, მსმენლის როლში მყოფი მოსწავლე. მათი მსჯელობის ხარისხი განსხვავებული იყო (ზოგი დახვეწილი, ზოგი - ხარვეზით), თუმცა ამ ეტაპზე მიზანი მიღწეული იყო: მთელი კლასი აქტიური და სრულდ ჩართული იყო მსჯელობაში.

მოსწავლეებმა შეძლეს თამამად გამოეთქვათ თავიანთი აზრები და სწორად ჩამოეყლიბებინათ ისინი.

ინტერვენცია 5.

ვიფიქრეთ, რომ უფრო საპასუხისმგებლო აქტივობა უნდა წამოგვეწყო და მოსწავლეებთან შეთანხმებით დავგეგმეთ გრძელვადიანი პროექტი: „ ქართული დიალექტები“ ამჯერად, მოსწავლეები გადავანწილე ჯგუფებში თანაბარი შესაძლებლობების მიხედვით და გადავანაწილე შესაბამისი დავალებები. პროექტი გავწერეთ დროში.

მოსწავლეებმ ხალისით და მონდომებით იმუშავეს, წარმოადგინეს სლაიდშოუები და განახორჩიელეს პროექტის გეგმით გწერიი აქტივობები. წარმოადგინეს შესაბამისი პეზენტაციები. ყველა მოსწვლე თანაბრად აქტიურობდა, ყველამ წარმოადგინა ზეპირი პრეზენტაცია თავისი შესაძლებლობის ფარგლებში.

პროექტის გეგმით გათვალისწინებული დასკვნითი პრეზენტაცია წავიღეთ არნოლდ ჩიქობვას სახ, ენათმეცნიერების ინსტიტუტში და წარმოვადგინეთ. მოსწავლეებმა გამოავლინეს ზეპირი ზრეზენტაციისთვის საჭირო უნარები, მაღი მეტყველება თანმიმდევული და გამართული იყო, თამამდ უპასუხეს იქ დამსწრე ენათმეცნიერთა შეკითხვებს. (**იხ. დანართი 5**)

ამ პროექტმა დამანახა, რომ თუ მოსწავლეს მისთვის საინტერესო და სახალისო დავალებებს შევთავაზებთ, თანაც ასარჩევ თემატიკას მასთან შეთანხმებით შევარჩევთ, ვფიქრობ, მთი მხრიდან მოტივაცია და ჩართულობა ამაღლდება. ეს კი მათი მეტყველების ხარისხზეც იმოქმედებს. შეზღუდვებს გამართულად მეტყველებას, განუვითარდებათ ზეპირი პრეზენტაციის უნარები.

4.2. ინტერვენციების შედეგების შეფასება

ჩემ მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა - წარმატებულ უფროსკლასელებთან შეხვედრამ, ნანახი სპექტაკლის განხილვამ და ანალიზმა, პროექტზე მუშაობამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მოსწავლეთა ჩართულობა და გააქტიურება მსჯელობისა და პრეზენტაციის უნარების დახვეწის კუთხით. მათში ამაღლდა მოტივაცია და ,რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა დაძლიეს შიში შეცდომების დაშვებისა, ისინი უფრო თავდაჯერებულნი და კრიტიკულები გახდნენ., გაიუმჯობესეს პრეზენტაციისათვის საჭირო უნარები. ასეთი აქტივობები ორიენტირებული იყო კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე. შედეგებმა აჩვენა, რომ მოსწავლეთა მდგომარეობა გაუმჯობესდა ამ მხრივ. მათ განუვითარდათ კითხვის დასმის, სათანადო დასკვნების გაკეთების, ,არგუმენტირებული მსჯელობის უნარი.

ვიქრობ, მოსწავლეები ამ უნარების განვითარებით უკეთ მიაღწევენ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შედეგებს , მსგავსი აქტივობების პრაქტიკაში დანერგვა კი მოგვცემს საუკეთესო შედეგს კრიტიკული აზროვნების განვითარებისა და საპრეზენტაციო უნარების დახვეწაში.

დასკვნა

2018 წლის ნოემბრიდან 2019 წლის ივნისამდე მე-7¹ და მე-7² კლასებში განვახორციელე პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა თემაზე: „საპრეზენტაციო უნარების განვითარება მე-7 კლასში“. კვლევის პერიოდში გავითვალისწინე ის ძირითადი მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც კავშირშია კრიტიკული აზროვნებისა და საპრეზენტაციო უნარების განვითარებასთან. ჩატარებულმა კვლევამ დაადასტურა, მოსწავლეებში საპრეზენტაციო უნარებისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე მოქმედებს ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორები, როგორიცაა: კითხვების დასმა, მსჯელობა, საკუთარი მოსაზრებების გამოთქმა, არგუმენტირებული მსჯელობა, საპირისპირო აზრის გნხილვა, პრობლემის გადაჭრის გზების ძიება; პრობლემის დამოუკიდებლად გადაწყვეტა; შეფასება; სათანადო დაკვნების გამოტანა. მოსწავლეებში საპრეზენტაციო უნარების განვითარებისა და დახვეწისათვის მუდმივი პროფესიული ზრუნვაა საჭირო. ამიტომ, მიმაჩნია, ეს პროცესი უწყვეტად უნდა მიმდინარეობდეს მთელი სასწავლო წლის მანძილზე. კვლევის გნმავლობაში მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით შევიმუშავე ინტერვენციები, რომლებიც დამეხმარა კვლევის პროცესში წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში.

კვლევის შედეგებმა მიჩვენა, რომ ჩემ მიერ განხორციელებული ინტერვენციები ეფექტური და შედეგიანი აღმოჩნდა.


რეკომენდაციები

- ✓ მოსწავლეებში საპრეზენტაციო უნარების განვითარება ხანგრძლივ დროსა და სისტემატიურ ზრუნვას საჭიროებს, ამიტომ ყოველი გაკვეთილის დაგეგმვისას გამოიყენეთ ისეთი აქტივობა, რომელიც ამ უნარის განვითარებას შეუწყობს ხელს.
- ✓ დაეხმარეთ მოსწავლეებს ახალი ცოდნა ააგონ ძველზე დაყრდნობით, ახალი ინფორმაციის ირგვლივ დასვან კითხვები, გაანალიზონ და შეაფასონ საკითხი, გამოთქვან მოსაზრებები- (თუნდაც ჩვენთვის მიუღებელი) დამოუკიდებლად. თქვენ იყავით მხოლოდ გეზის მიმცემი.
- ✓ ხშირად გამოიყენეთ გაკვეთილზე დისკუსია პრობლემური საკითხის გადასაჭრელად, რათა მოსწავლეებს განუვითარდეს განსხვავებული აზრის მოსმენის, არგუმენტირებული მსჯელობისა და საკუთარი მოსაზრებების დაცვის უნარი.
- ✓ აკეთეთ პროექტები, მოსწავლეებს ძალიან მოსწონთ ის და ხალისით ერთვებიან მსგავს აქტივობებში;
- ✓ წაახალისეთ პასიური, სუსტი მოსწავლეები, შეეცადეთ მათზე მორგებული გარემო შექმნათ;
- ✓ მოსწავლეებს გააცანით ამ კუთხით წარმატებული თანატოლები ან უფროსი მეგობრები, შეახვედრეთ მათ.
- ✓ მასწავლებლები გაეცნონ ამ თემის ირგვლივ პროფესიულ ლიტერატურას და გაითვალისწინონ საკუთარ პრაქტიკაში.

გამოყენებული ლიტერატურა

- 1.ეროვნული სასწავლო გეგმა.2011-2016.საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.
2. .ეფექტური სწავლება სკოლაში - რობერტ ჯ. მაზანო; დებრა ჯ. ფიქერინგი; ჯეინი ი. ფოლოქი ;
- 3 ლევ ვიგოტსკი „აზროვნება და მეტყველება“ 1934 წ მ.
- 4.“მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი“ (ნაწ. II.)
5. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის გზამკვლევი, 2014; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
6. მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი;
(http://tpdc.gov.ge/uploads/pdf_documents/gzamkvlevi%20meore%20nawili.pdf)
7. სოფიო გორგოძე, მანანა ბოჭორიშვილი, ნინო ჭიაბრიშვილი, ქეთევან ჭიაბრიშვილი, გიორგი გახელაძე- გზამკვლევი პრეზენტაციის უნარების განვითარება;
<http://mastsavlebeli.ge/?p=2031>
8. სოფიკო ლობჯანიძე;ს სტატია_ „როგორ წარმართოთ პედაგოგიური კვლევები“
(ინტერნეტგაზეთი„mastsavlebeli.ge“)
9. ჯეფრი ი. მილსი სამოქმედო კვლევა
(<http://medialiteracy.ge/uploads/library/samoqmedo-kvleva-jefri-i-milsi-46.pdf>)

დანართი 3.1



დანართი 3

1)კვითხულობდი უამრავ წიგნს 2)ვეცნობოდი ამ წიგნების ავტორების ბიოგრაფიებს 3)ყურადღებას ვამახვილებდი პერსონაჟების სახელებზე 4) კვითხულობდი ნაკლებად ცნობილი წიგნების ანოტაციებს 5)ვევარჯიშობდი ლოგიკური მსჯელობით სწორ პასუხებამდე მისასვლელად
მაინც მთავარია კითხვა და კითხვა 😊 ილია შრმანაშვილი

დანართი 4

საქართველოს ლინგვისტური პორტრეტი

16 მაისი •

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში სკოლა „ჯი-ელ-სის“ მეშვიდეკლასელ მოსწავლეებს ვუმასპინძლეთ. მოსწავლეებმა წარმოადგინეს ძალიან საინტერესო კვლევები ქართული ენის დიალექტების შესახებ, მოისმინეს ლექცია დიალექტების ჩაწერისა და დამუშავების საინტერესო პროცესის, ინტიტუტის წარსულისა და აწმყოს, დიალექტური კორპუსის შესახებ. შეხვდნენ ინსტიტუტის დირექტორს, ქ-ნ ნანა მაჭავარიანს, გაეცნენ ახალ გამოცემებსა და კვლევებს. ენობრივ მონაცემთა კომპიუტერული დამუშავების განყოფილებაში ნახეს საინტერესო ჩანაწერები და ხელნაწერები, ისწავლეს ქართული დიალექტური კორპუსის გამოყენება და გადაწყვიტეს, ახალი ტექნოლოგიების საშუალებით კიდევ უფრო გაიღრმავონ თავიანთი ინტერესები ქართული ენისა და დიალექტების მიმართულებით. ❤️



დანართი 5

5.1. მასწავლებლების კითხვარი

თქვენ მიერ მოწვდილი მასალები გამოიყენება კვლევაში. გამოკითხვა არის ანონიმური. არ ჩაწეროთ თქვენი სახელი და გვარი და არ მოიხსენიოთ არავინ სახელითა და გვარით.

დიდი მადლობა კვლევაში მონაწილეობისათვის. გთხოვთ დახურულ კითხვებში შემოხაზოთ თქვენთვის მისაღები პასუხი, ხოლო ღია დაბოლოებიან კითხვებში ჩაწეროთ თქვენი მოსაზრება.

1. ასაკი -----

2. სქესი -----

3. რომელ საგანს ასწავლით? -----

4. როგორი ტიპის გაკვეთილებს ანიჭებთ უპირატესობას?

ა) ლექციური ბ) პროექტზე დაფუძნებული სწავლება გ) შემაჯამებელი
დ) სხვა _____

5. თქვენი აზრით, რა როლი უნდა ჰქონდეს მოსწავლეს საგაკვეთილო პროცესში?

6. თვლით თუ არა, რომ ისტ-ის გამოყენება საგაკვეთილო პროცესში ეფექტურია?

ა) არა ბ) კი გ) არ ვიცი

7. თუ თვლით, რომ ისტ-ის გამოყენება საგაკვეთილო პროცესში ეფექტურია
გთხოვთ, გადმოსცეთ, რაში გამოიხატება ეს ეფექტურობა?

8. იყენებთ თუ არა პროექტზე დაფუძნებული სწავლების მეთოდებს საგაკვეთილო პროცესში?
- ა) კი ბ) არა გ) იშვიათად დ) ხშირად
9. თუ იყენებთ, როგორია მოსწავლეთა ჩართულობა ასეთი ტიპის გაკვეთილებზე?
- ა) აქტიური ბ) პასიური გ) არ აინტერესებს
10. მოსწავლეთა მიერ დამუშავებული (შესწავლილი) მასალის პრეზენტაციის დროს რა პრობლემებს აწყდებით? (შემოხაზეთ ერთი / რამდენიმე)
- ა) მოსწავლეებს უჭირთ აუდიტორიასთან კონტაქტი ბ) სრულად ვერ აყალიბებენ აზრს გ) არ უყვართ საჯარო გამოსვლა დ) ვერ ფლობენ საპრეზენტაციო უნარებს
11. როგორ ფიქრობთ: თქვენი მოსწავლეებითვის რა უფრო მოსახერხებელია : წერა, კითხვა თუ საუბარი?
- ა) წერა ბ) კითხვა გ) ზეპირი მსჯელობა
12. რა აქტივობა უადვილდებათ ყველაზე მეტად მოსწავლეებს საგაკვეთილო პროცესში?
-
-
13. გაკვეთილზე რა სახის პრეზენტაციას ახორციელებთ უფრო ხშირად?
- ა) ელექტრონულს ბ) ზეპირს გ) წერილობითს
14. დამუშავებული (შესწავლილი) მასალის გაკვეთილზე ზეპირი გადმოცემის (პრეზენტაციის) მოსწავლეთა მხრიდან რა პრობლემები იკვეთება? როგორ ფიქრობთ, რატომ?
-
-
15. საგაკვეთილო პროცესში როგორ პრეზენტაციას ანიჭებთ უპირატესობას?
- ჯგუფური
 - ინდივიდუალური
 - სხვა -----
16. რა უნარების განვითარებაში გეხმარებათ პრეზენტაციის გაკეთება? (შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი უნარი/უნარები)
- ა) ურთიერთთანამშრომლობა ბ) კრიტიკული აზროვნება გ) ინფორმაციის მოძებნა-დახარისხება დ) ზეპირი მეტყველების უნარ-ჩვევები ე) არგუმენტირებული

მსჯელობის უნარი ვ) ინფორმაციის კლასიფიკაცია ზ) პასუხისმგებლობის
გაზიარება თ) კომუნიკაცია

13.თქვენი აზრით, მოსწავლე როგორ/რაში გამოიყენებს სკოლაში პრეზენტაციის
ტიპის გაკვეთილებზე მიღებულ გამოცდილებას/უნარ-ჩვევებს?

მადლობა კვლევაში მონაწილეობისა და თქვენი აზრის დაფიქსირებისთვის!

5.2. კითხვარი მოსწავლეთათვის

თქვენ მიერ მოწვდილი მასალები გამოიყენება კვლევაში. გამოკითხვა არის ანონიმური. არ ჩაწეროთ თქვენი სახელი და გვარი და არ მოიხსენიოთ არავინ სახელითა და გვარით.

გთხოვთ დახურულ კითხვებში შემოხაზოთ თქვენთვის მისაღები პასუხი, ხოლო ღია დაბოლოებიან კითხვებში ჩაწეროთ თქვენი მოსაზრება.

17. ასაკი -----

18. სქესი -----

19. კლასი -----

20. ხართ თუ არა საგაკვეთილო პროცესში ჩართული?

- ☐ ხშირად
- ☐ ზოგჯერ
- ☐ იშვიათად

21. როგორი ფორმის გაკვეთილები მოგწონთ?

- ☐ ლექციური
- ☐ პროექტების დაცვა
- ☐ გაკვეთილის შეჯამება

22. რა როლი უნდა ჰქონდეს მოსწავლეს საგაკვეთილო პროცესში? გადმოეცით თქვენი მოსაზრება.

23. თვლით თუ არა, რომ ისტ-ის გამოყენება საგაკვეთილო პროცესში ეფექტურია?

- ☐ არა
- ☐ კი

- არ ვიცი

24. თუ თვლით, რომ ისტ-ის გამოყენება საგაკვეთილო პროცესში ეფექტურია გთხოვთ, გადმოსცეთ თუ რაში გამოიხატება ეს ეფექტურობა?

25. იყენებენ თუ არა მასწავლებლები პროექტებით სწავლების მეთოდებს საგაკვეთილო პროცესში?

- კი
- არა
- იშიათად

დადებითი პასუხის შემთხვევაში ჩამოთვალეთ საგნები:

26. როგორია თქვენი ჩართულობა ასეთი ტიპის გაკვეთილებზე?

- აქტიური ვარ
- პასიური ვარ
- მსმენელის როლში ვარ

27. თავისუფალ დროს ამხანაგების (ხალხმრავალ) გარემოცვაში ყოფნა გირჩევნიათ თუ განმარტოება?

- ამხანაგებთან
- განმარტოება
- ორივე

28. სკოლის შემდეგ დაკავებული ხართ თუ არა სხვა აქტივობებით? (მგალითად, სპორტი, ცეკვა, მუსიკა და ა.შ.)?

29. რითი ხართ დაკავებული თავისუფალ დროს?

30. გიჭირთ თუ არა საზოგადოებაში საკუთარი აზრის დაფიქსირება?

- კი
- არა
- ხანდახან

31. რითია გამოწვეული საზოგადოებაში თქვენი აქტიურობა/პასიურობა?

(შემოხაზეთ თქვეთვის მისაღები ვარიანტი/ვარიანტები)

- სიმორცხვე/სითამამე
 - ლექსიკური მარაგის სიმწირე/გამართული მეტყველება
 - დაბალი თვითშეფასება/თავდაჯერებულობა
 - სხვა-----
-

32. გაგიკეთებიათ თუ არა თავად თქვენ პრეზენტაცია რომელიმე გაკვეთილზე?

- კი
- არა

33. გიყვარს თუ არა პრეზენტატორის როლის მორგება?

- კი
- არა
- არ მიცდია

34. დამუშავებული (შესწავლილი) მასალი გაკვეთილზე ზეპირი გადმოცემის

(პრეზენტაციის) დროს რა პრობლემებს აწყდები?

- მიჭირს აუდიტორიასთან კონტაქტი (მრცხვენია)
- სრულად ვერ ვაყალიბებ აზრს (არ მყოფნის სიტყვათა მარაგი)
- არ მიყვარს სჯარო გამოსვლა

35. როგორ ფიქრობთ: რა გამოგდით ყველაზე კარგად წერა, კითხვა თუ საუბარი?

- წერა
- კითხვა
- საუბარი

36. საგაკვეთილო პროცესში როგორ პრეზენტაციას ანიჭებთ უპირატესობას?

- ჯგუფური
- ინდივიდუალური
- სხვა -----

37. რა სახის პრეზენტაცია მოგწონთ?

- ელექტრონული
- ზეპირი
- წერიტი

38. რისი გაკეთება გიადვილდება ყველაზე მეტად დავალების პრეზენტაციის დროს?

39. რა უნარების განვითარებაში გეხმარებათ პრეზენტაციის გაკეთება?

(შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი უნარი/უნარები)

- ურთიერთთანამშრომლობა
- კრიტიკული აზროვნება
- ინფორმაციის მოძება დახარისხება
- ზეპირი მეტყველების უნარ-ჩვევები
- არგუმენტირებული მსჯელობის უნარი
- ინფორმაციის კლასიფიკაცია
- საღი მსჯელობა და აღქმა
- კვლევა-ძიების უნარი
- პასუხისმგებლობის გაზიარება
- კომუნიკაცია

40. თქვენი აზრით, როგორ/რაში გამოიყენებთ სკოლაში პრეზენტაციის ტიპის
გაკვეთილებზე მიღებულ გამოცდილებას/უნარ-ჩვევებს?

მადლობა კვლევაში მონაწილეობისა და თქვენი აზრის დაფიქსირებისთვის!

დანართი 6

		ნოემბ	დეკემ	იანვ	თებ	მარტ	აპრილ	მაისი	ივნისი
1.	საკვლევი თემის შერჩევა	✓							
2.	ლიტერატურის მიმოხილვა	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	
3.	პრობლემის დამისიგამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება (ჰიპოთეზები)	✓							
4.	კვლევის მეთოდებისა და ინსტრუმენტების განსაზღვრა		✓						
5.	მონაცემთა შეგროვება/ანალიზი		✓	✓					
6.	დასკვნები/მიგნებები			✓					
7.	ინტერვენციების დაგეგმვა			✓					
8.	ინტერვენციების განხორციელება				✓	✓	✓	✓	
9.	ინტერვენციების შეფასება								✓
10.	კვლევის ანგარიშის მომზადება კოლეგებთან გაზიარება						✓	✓	✓

რეფლექსია ჩატარებული პედაგოგიური კვლევის შესახებ „საპრეზენტაციო უნარების განვითარება მე-7 კლასში“.

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა საჭიროა სწავლების დროს წამოჭრილი სიმნელებების გადასაჭრელად, ასევე, საკუთარი პედაგოგიური საქმიანობის საჭიროებებიდან გამომდინარე ახალი იდეების გამოსაცდელად. კვლევა მასწავლებელს ეხმარება თავისი პედაგოგიური საქმიანობის ეფექტურობის გაზრდაში.

ხშირად ჩემი მოსწავლეების სწავლაში პროექტებსა და დებატებში პასიურობის მიზეზი საპრეზენტაციო უნარების დაბალი ხარისხი, გაუმართავი მეტყველება, აზრის ნათლად და მკაფოდ გადმოცემის ნაკლებუნარიანობა, ლექსიკის სიმწირე და სიმორცხვე იყო. ზოგიერთ მოსწავლეში შეიმჩნეოდა კრიტიკული აზროვნების დაბალი დონე. ამიტომ, პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე, გადაწყვიტე, მეწარმოებინა კვლევა ამ თემაზე.

კვლევის მიზანი იყო:

- ❖ შემესწავლა მოსწავლეთა სწავლების პროცესში საპრეზენტაციო უნარების დახვეწის მხრივ არსებული პრობლემების გამომწვევი მიზეზები და მომეძებნა მათი გადაჭრის გზები;
- ❖ გავცნობოდი საპრეზენტაციო უნარებისა და კრიტიკული აზროვნების განვითარების ეფექტურ სტრატეგიებს და მომერგო ის მოსწავლეთა საჭიროებებისთვის;
- ❖ სხვადასხვა მეთოდებით მომეხდინა მოსწავლეთა საპრეზენტაციო უნარების კომპეტენციის გაზრდა;
- ❖ დავხმარებოდი მოსწავლეებს მოტივაციის ამაღლებასა და მეტყველების განვითარების ეფექტური სტრატეგიების დაუფლებაში.

- ❖ ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგები გამეზიარებინა კოლეგებისათვის.

საკვლევი შეკითხვა ჩამოვყალიბე ასე:

- ✓ რომელი აქტივობები და მეთოდები გამომადგება მოსწავლეებში საპრეზენტაციო უნარების განვითარებისთვის?
- ✓ როგორ დავეხმარო მოსწავლეებს მოტივაციის ამაღლებაში?
- ✓ როგორ დავეხმარო მოსწავლეებს თამამად გამოთქვან საკუთარი მოსაზრებანი?

ამ კითხვებზე პასუხის მისაღებად შევიმუშავე ინტერვენციები:

- ❖ სხვადასხვა მეთოდური ლიტერატურის გაცნობა და საპრეზენტაციო უნარების სტრატეგიების დაუფლება.
- ❖ კოლეგების გამოცდილების გათვალისწინება.
- ❖ სხვადასხვა აქტივობები საპრეზენტაციო უნარების განვითარებისათვის.

საკვლევი თემა აქტუალური იყო, რადგან მოსწავლეთა ნაწილს ხშირად უჭირს ნასწავლი, დამუშავებული მასალის პრეზენტაცია, დასკვნების გაკეთება, ხშირად ისინი შემოიფარგლებიან მოკლე პასუხებითა და აზრობრივად გაუმართავი მეტყველებით. კვლევის მიზანი კი სხვადასხვა აქტივობების სწორად დაგეგმვით განსხვავებული შეხედულებების, დამოუკიდებელი მსჯელობისა და კრიტიკული აზროვნების, საპრეზენტაციო უნარების ჩამოყალიბება იყო. სამიზნე ჯგუფად ავირჩიე მე-7¹⁻² კლასის მოსწავლეები და ის პედაგოგები, რომლებიც ამ მოსწავლეებს ასწავლიან ან ასწავლიდნენ ადრე. მიმაჩნდა, რომ ეს საკითხი მათთვისაც მნიშვნელოვანი იყო.

განვახორციელე გამოკითხვა პედაგოგებში საზოგადოებრივი, მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა მიეღოთ მონაწილეობა ანკეტირებაში და დამხმარებოდნენ. განვახორციელე გამოკითხვა მოსწავლეებთან. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მოსწავლეები არ ფლობდნენ იმ უნარებს, რაც აუცილებელია პრეზენტაციისთვის, კრიტიკული აზროვნებისთვის, მასწავლებლებთან ერთად გავაანალიზე გამოკითხვის შედეგები და მივიღე გადაწყვეტილება:

მუდმივად დამეგემა და განმეხორციელებინა ისეთი აქტივობები, რომელიც მოსწავლეს მოტივაციას აუმაღლებდა, სითამამესა და გამბედაობს შემატებდა მეტი თავდაჯერებულობის შედეგად შეზლებდა საკუთარი აზრების უკეთ გადმოცემას. ჩამოყალიბებას

საკვლევ პერიოდში მოსწავლეებს შევთავაზე მრავალფეროვანი აქტივობები, რათა სახვადახვა ინტერესისა და მონაცემების მოზარდებისათვის მიმეცა საშუალება, რომელიმე აქტივობაში „ეპოვათ საკუთარი თავი“ კომფორტულად ეგრძნოთ თავი და მეტი თავდაჯერებულობით ემოქმედათ. გამოვიყენე ისეთი აქტივობები, რომლებიც საპრეზენტაციო უნარების განსავითარებლად ეფექტურად მივიჩნიე.

ყოველი აქტივობის შემდეგ ვხვდებოდი კოლეგებს, განვიხილავდით განხორციელებულ აქტივობებს, ვიღებდი მათგან კორექტულ უკუკავშირს.

კვლევა გაგრძელდა 8 თვეს და ბევრი რამ მომცა პროფესიული განვითარების თვალსაზრისით, რასაც გამოვიყენებ მოსწავლეებთან საგაკვეთილო თუ კლასგარეშე აქტივობებში.

ჩემი კვლევის უარყოფით მხარედ მივიჩნევ იმას, რომ კვლევა უნდა ჩამეტარებინა ზოგადად, მთელ-საბაზო საფეხურზე, თუმცა მსგავს აქტივობებს ვიყენებ სხვა კლასებშიც.

ვთვლი, რომ კვლევა იყო საინტერესო და შედეგიანი. მოსწავლეები დაეუფლნენ იმ სტრატეგიებს, რომელიც დაეხმარებათ საპრეზენტაციო უნარების განვითარებაში.

კოლეგებთან კვლევის შედეგების გაზიარება

კვლევის მთელი პერიოდის განმავლობაში ვგრძნობდი აქტიურ მხარდაჭერასა და თანადგომას კოლეგებისაგან. მათთან აქტიურმა თანამშრომლობამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა კვლევის შედეგების სანდოობა, განხორციელებული ინტერვენციების ეფექტურობა.

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგები გავაცანი პედაგოგიურ კოლექტივს, მოვაწყე კვლევის ანგარიშის პრეზენტაცია. კვლევის გაზიარების პროცესი საინტერესო აღმოჩნდა. ზოგიერთმა მასწავლებელმა აღნიშნა, რომ არ იცნობდა კვლევის სტრუქტურას და კვლევის გაცნობა მათ დახმარებას გაუწევს, რადგან ეს მათთვის გამოცდილების მიმცემია და გამოადგებათ მათ საკუთარი პრაქტიკის კვლევის დროს. ზოგიერთმა აღიარა, რომ ასეთ ეფექტურ შედეგებს ნაკლებად ელოდა.

მასწავლებლები გაეცნენ მონაცემთა ანალიზს, განხორციელებულ ინტერვენციებსა და ინტერვენციების შედეგებს, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ეს საკითხი ძალიან აქტუალურია და კვლევის გაზიარება გამოადგება სხვა საგნობრივი ჯგუფის წევრებსაც თავიანთი პედაგოგიური საქმიანობის წარმართვაში.

პრეზენტაციის დასასრულს მასწავლებლებისგან მივიღე რეკომენდაციები.

გთავაზობთ რამდენიმე მათგანს:

- ეს არ არის მხოლოდ ჩვენი სკოლის პრობლემა. საპრეზენტაციო და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარება მოსწავლეებში მეტად მნიშვნელოვანია. ამ უნარების დაუფლების მიღწევა შესაძლებელია მუდმივი და ხანგრძლივი მუშაობის შედეგად და საჭიროებს დიდ ყურადღებას.

- საინტერესო კვლევაა. ზუსტად ასახავს იმ პრობლემას, რომელიც ყველა საგნის მასწავლებელს აქვს. კვლევის წარმოება საუკეთესო საშუალებაა, გამოავლინოს პრობლემის გამომწვევი მიზეზები და დასახოს მისი გადაჭრის გზები. ერთობლივი მუშაობა უკეთესი შედეგის მომცემი იქნება.

- მომეწონა თქვენ მიერ განხორციელებული ინტერვენციები. საჭიროა, მასწავლებლებმა ხშირად გაიმართოს პრეზენტაცია, დისკუსია გაკვეთილზე, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებს, გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება ამა თუ იმ მოვლენის მიმართ.

- პრაქტიკის კვლევა მასწავლებლის საქმიანობის აუცილებელი კომპონენტია. კვლევის დახმარებით მასწავლებელი უკეთ ეცნობა მოსწავლეთა საჭიროებებს, შესაბამისად პრობლემის დროული აღმოფხვრა მოსწავლეებს დაეხმარება გადაწყვეტილებების

მიღების დროს საუკეთესო ვარიანტის შერჩევაში, როგორც სკოლაში, ასევე, სკოლის შემდგომ პერიოდშიც.

დასასრულ მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს კოლეგებსა და სკოლის დირექციას თანადგომისათვის, ასევე, ჩემს მოსწავლეებს კვლევის პროცესში მონაწილეობისათვის.